ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №63

29.04.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0321118126-03; 28.04.2021);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03211187-03; 28.04.2021).**

სხდომა წარიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, სარევიზიო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა, ასევე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321118126-03; 28.04.2021):**

გ. თალაკვაძე - წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 78,900.0 ათასი ლარით და შეადგენს 1 191 310,3 ათას ლარს.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - **8 835,5** ათასი ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - **17 260,3 2** ათასი ლარით;
- საბაგირო ტრანსპორტის განვითარება - **11 639,7 ათასი** ლარით;
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - **2 259,8** ათასი ლარით;
- სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ - **164,5** ათასი ლარით;

ასევე, დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 5 ერთეულით და შეადგენს 140 ერთეულს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 121 876,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 073 732,9 ათასი ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0321118126-03; 28.04.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03211187-03; 28.04.2021):

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, ასევე, პირველ პუნქტს ემატება „დ" ქვეპუნქტი.

უფრო კონკრეტულად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების დანართ 1-ში შედის შემდეგი სახის ცვლილებები: **ლოტი №1** - სამუშაო დღეებში ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალურ რაოდენობაში შედის კორექტივები და ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 383 ერთეულისა იმოძრავებს 252 ავტობუსი; **ლოტი №2** - ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 262 ერთეულისა იმოძრავებს 184 ავტობუსი; **ლოტი №3** - ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 325 ერთეულისა იმოძრავებს 232 ავტობუსი; **ლოტი №4** - ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 350 ერთეულისა იმოძრავებს 276 ავტობუსი;**ლოტი №5** - ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 380 ერთეულისა იმოძრავებს 256 ავტობუსი.

ასევე, წარმოდგენილ დადგენილებას ემატება ახალი დანართი 4, რომლითაც მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ

სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრი.

ზ/ა ცვლილებები განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის №69 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს ინტეგრირებული სისტემის თანმიმდევრულ ეტაპობრივ დანერგვას, რომელიც სრულფასოვნად 2023 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდება.

შ. ოგბაიძე - უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებულ სისტემაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსებს დამონტაჟებული ჰქონდეთ გავლილი მარშრუტის და კილომეტრების აღმრიცხველი ელექტრონული მოწყობილობა. რა ეტაპზეა სამუშაოები და როდის იქნება მზად შესაბამისი ფორმულა, რომელიც უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში.

დ. ჯაიანი - მთლიანი ხელშეკრულების პროექტი, სადაც ასახული იქნება ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი შესაბამისი სამსახურების მიერ დამუშავების პროცესშია და რამდენიმე კვირაში მზად იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03211187-03; 28.04.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე